# ლიდერის როლი ბიზნესის წარმატებაში საქართველოს მაგალითზე

გიორგი ჯინჭარაძე

რეომირი ჭითანავა

კონსტანტინე ცქიტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი : ნინო თანდილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

# აბსტრაქტი

ქვემოთ მოცემული კვლევა ეხება საქართველოში ლიდერობის როლს ბიზნესის განვითარებაში. ნაშრომში ძირითადი აქცენტები კეთდება ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე, ლიდერის თვისებებზე და ამ თვისებების როლზე ბიზნესის განვითარებაში.

ნაშრომში განხილულია ქვეყნის მასშტაბით წარმატებული და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიები, კერძოდ: ჯეპრა, საქართველოსბანკი, ქართულ-ამერიკული სკოლა, გუდვილი, თეგეტა მოტორსი, ბილტმორი, დატა-ცენტრი, ბიჩი, რომელთა მიმოხილვაც თვალნათლივ გვიჩვენებს საქართველოში წარმატებულ კომპანიებში არსებულ ვითარებასა და შიდა გარემოებას.

კვლევაში გამოყენებულია კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერების მოსაზრებები/რჩევები/ანალიზი, ასევე რიგი თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რაც საშუალებას იძლევა ყველა მხრიდან დანახული იყოს არსებულ კომპანიებში რეალური მდგომარეობა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები, რაც ვფიქრობთ, რომ გავლენას იქონიებს ბიზნესის წარმატებაზე. ასევე,ზემოაღნიშნული რეკომენდაციები ხელსშეუწყობს მენეჯერებს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც სამომავლოდ კომპანიის წარმატებაზე აისახება.

# Abstract

Our research is about the importance of leadership in developing a business within a country. It discusses the existing challenges for businesses, the necessary qualities for leaders to deal with the modern trends and the role of a leaders in business development.

This esseay looks into the most succesfull and innovative companies in Georgia: Jepra, Bank of Georgia, Georgian-American University, Goodwill, Tegeta Motors, Biltmore, Data-center, and Riviera Beach. Revew of the named companies clearly displays the habitat and culture of successful companies in our country. The research incorporates statements, advices and analysis of top managers of the listed companies. Morover, it also includes view of the staff members within the companies, in order for the document to cover the topic from various angels.

Based on our research we have drawn conclusions and made recommendations, wich can have a beneficial impact on the business segment. This recommendations can also assist the top managers of the companies in their decision making process, therefore can possitivly influence their future success.